მაია გელაშვილი- ასოცირებული პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: maiagel99@gmail.com

საქართველოს ეკონომიკა და სახელმწიფო ვალი

აბსტრაქტი

ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას საქონლისა და მომსახურების წარმოება განსაზღვრავს. ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურობას კი ქვეყანაში ვალის სიდიდის ინდიკატორი. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია გადახდისუნარიანობა. განვითარებულ ქვეყნებს დეფოლტი ნაკლებად ემუქრებათ, მაგრამ ისეთი განვითარებადი ქვეყანა როგორიც საქართველოა, რომელიც ხასიათდება არასტაბილური ეკონომიკური ზრდის ტემპებით და ფინანსების მუდმივი დეფიციტით ვალი აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს და ზრდის გადახდის რისკის. საქართველოს საგარეო ვალის ნაწილში საყურადღებოა ლარის გაუფასურება და შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან, ვინაიდან 2022 წელს სახელმწიფო საგარეო ვალი ოცდაცამეტ მილიარდს აღწევს, ხოლო ვალის ზედა ზღვარი - 56,5%-ს უახლოვდება. ვალის გადახდა პრობლემას არ წარმოადგენდა თუ ქვეყანის მოსახლეობა დასაქმებული იქნებოდა, მაგრამ ამ მხრივაც პრობლემაა. კერძოდ, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზის 2022 წლის მონაცემებით რაოდენობა 643167 ადამიანს აღწევს და ამას ემატება უმუშევარი მოსახლეობის 22,1%. აღნიშნული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე მაღალია კორელაცია მშპ-სა და სახელმწიფო ვალს შორის. შესაბამისად მაღალია რისკი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარების. ე.ი მთავრობა ვერ პასუხობს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მომაჩნია თუ მთავრობის მიერ აღებული საშინაო და საგარეო ვალი იხარჯება ეფექტიან რეფორმებში. ეფექტიანობა უნდა ვლინდებოდეს ქვეყნაში არა საქონელზე და მომსახურებაზე ფასების ზრდის ტემპების მატებით, არამედ მოსახლეობის კეთილდღეობაში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური პროგრესი, ინოვაცია, მწარმოებლურობა, რეცესია, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.

Maia Gelashvili – Associate Professor
LEPL Samtskhe-Javakheti State University
The Faculty of Business Administration
E: mail: maiagel99@gmail.com

Economics of Georgia and State Dept

An Abstract

Production of goods and services determine an Economic situation in the country and the growth of income of the population. The stability of the economic situation is an indicator of the debt amount in a country. However, solvency is not less important. Developed countries are less likely to default, but a developing country such as Georgia, characterized by unstable economic growth and persistent fiscal deficits, has debt that hinders the country's socio-economic objectives and increases the risk of repayments. Regarding Georgia's external debt, it is worth noting the devaluation of the lari and its ratio to gross domestic product, since the state external debt will reach thirty-three billion in 2022, and the upper limit of the debt is close to -56.5%. Paying off the debt would not be a problem if the country's population were employed, but it is a problem in this regard too. In particular, according to the unified database of socially vulnerable families for 2022, their number reaches 643,167 people, and 22.1% of the unemployed population is added to this. Judging by the analysis of the data provided, the correlation between GDP and public debt is high. The mentioned situation means that the government cannot regulate the current economic growth and development situation, because the risk is high.

Based on the above problems, it is recommended that the internal and external debt taken by the government be aimed at effective reforms. The increase in prices for goods and services significantly reduces the well-being of the population in the country.

Keywords: Economic progress, innovation, productivity, recession, fiscal and monetary policy

ქვეყნის მდგომარეობის განმსაზღვრელი ეკონომიკური პროგრესია, რომელიც საზღვრავს ქვეყანაში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარება ეხება როგორც განვითარებად ასევე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებსაც.

აღსანიშნავია თანამედროვე ეკონომიკის საფუძვლის იდეის კვლევა, რომელიც ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლის ადამ სმიტის 1776 წელს გამოქვეყნებულ „ერთა სიმდიდრე“ ნაშრომშია გამოქვეყნებული, სადაც განმარტებულია ყველაზე მნიშვნელოვანი თუ რა არის თავისუფალი საბაზრო და პროდუქტიული ეკონომიკა, რომელის თვითღირებულება პროდუქტიულია მთავრობის ჩარევის გარეშე (სმიტი 2007, 13).

მოგვიანებით პირველმა ამ საკითხის კვლევა თავის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია“(1912) იოზეფ შუმპტერმა ერთმანეთისგან გამიჯნა ეკონომიკური ზრდა და განვითარება და ასევე ის განვითარების მთავარ ფაქტორად მიიჩნევდა მეწარმეობასა და ინოვაციებს ვინაიდან განვითარება ინოვაციების გარეშე წარმოუდგენელია (მექვაბიშვილი 2016, 156). შესაბამისად ქვეყანაში ინოვაციების დანერგვა და მეწარმეობის ზრდა დადებითი გავლენაა როგორც ეკონომიკური განვითარების ზრდის თვალსაზრისით, ასევე მოსახლეობის ცხოვრების დონის ხარისხის ამაღლების.

საქართველოს ეკონომიკა დღეისათვის განვითარების მშენებლობის პროცესშია და ხასიათდება არასტაბილური ზრდის ტემპებით და ფინანსების მუდმივი დეფიციტით, თუმცა ეკონომიკური წარსულიც კრიზისული პერიოდებით ხასიათდება. ქვეყნის მთავრობას რეცესიის მდგომარეობის და ეკონომიკის ზრდის ტემპის გასაუმჯობესებლად ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ბერკეტი გააჩნია, თუმცა ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი არგუმენტი მაინც ბუნებრივი რესურსია. შესაბამისად, ქვეყნის როგორც დანაზოგების და ინვესტიციების, ასევე სიმდიდრის გადანაწილებაც სახელმწიფოს პრეროგატივაა.

მიმდინარე ეტაპზე ქვეყანაში არსებულ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები არ იძლევა სიღარიბის დაძლევის საშუალებას, ვინაიდან მნიშვნელოვნადაა გაუარესებული მოსახლეობის ცხოვრების საშუალო დონე. კერძოდ: საქსტატის მონაცემების საფუძველზე უმუშევრობის დონემ 2022 წელს-22% შეადგინა რაც 2021 წელთან შედარებით, 3,7%-ით მაღალია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ქვეყანის სოციალ-ეკონომიკური პრობლემების დაძლევა უფრო მეტად რომ არ მოხდეს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის დაცემა. თუმცა საქსტატის ოფიციალური მონაცემებით 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 10,5%-ით გაიზარდა, ხოლო 2022 წელს კი 10,1% დაფიქსირდა. საინტერესოა, მაშინ როცა სამომხმარებლო საქონელზე და მომსახურებაზე ფასების ზრდა თითქმის სრულ სპექტრს ეხება კერძოდ: სტატისტიკას თუ გადავხედავთ ბოლო ათი წლის მანძილზე სურსათი 70-110%-ით გაძვირდა, (იხ.დიაგრამა N1),

დიაგრამა N1



წყარო: საქსტატი

ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მომსახურება 80-ით%, კომუნალური მომსახურება 20%-ით, უმუშევრობის დონეც ზევით 22%-მდე იზრდება, ეკონომიკური ზრდა მაღლა 10,1%-ზე ადის და რა ბერკეტებით და შემოსავლებით ხდება ეკონომიკური ზრდა, მაშინ როცა ყველა ეს ფაქტორი უარყოფითად ისახება ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რომელსაც ემატება საქსტატის ანგარიში, რომ 2022 წელს საქართველოს იმპორტმა ათი მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის თანახმად ინფლაცია 7%-ია და ამ ფონზე ეკონომიკური ზრდა? ან ხომ არ იკვეთება მნიშვნელოვანი პრობლემა, რომ სახელმწიფო ცუდი ინვესტორია.

ქვეყანაში ეკონომიკური რყევების დროს მნიშვნელოვანია ვალის შეფასების მდგრადობა კერძოდ ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა. ქვეყნაში არსებული საგარეო და საშინაო ვალი მთავრობის, ეროვნული ბანკის და სახაზინო ვალია. საგარეო ვალის შეფასებისათვის მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაშია საგარეო ვალის ლიმიტირების პრაქტიკა, თუმცა ფასდება ყველა მაკროეკონომიკური ინდიკატორები, განსაკუთრებით ქვეყნის მთლიანი შემოსავლის რა ნაწილს შეადგენს ვალი. მაგრამ ქვეყნაში იმ შემთხვევაში პრობლემას არ წარმოადგენს ვალი და მისი რისკიც მინიმუმია, როცა დასაქმებულია მოსახლეობა და ფინანსური მდგომარეობაც მყარია. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები. კერძოდ განვითარებადი ქვეყნებისთვის (როგორიც საქართველოა) სახელმწიფო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიდა პროდუქტის 40-50%-ს. (ფონდი

2021) (ფონდი, საერაშორისო სავალუტო. 2021. geoeconomics.ge) აგრეთვე საქართველოს (იხ.დიაგრამაN2) პარლამენტის მიერ 2011 წელს მიღებული

დიაგრამა N2



წყარო: საქსტატი

„ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ ძალაში შევიდა 2013 წლის 31 დეკემბრიდან) მიხედვით, სახელმწიფო ვალი მშპ-ს 60%-ზე მეტი არ უნდა იყო (პარლამენტი, საქართველოს. 2013. „აქტი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ.“ parliament.ge). იმის შესახებ, რომ მომავალში ქვეყანამ აირიდოს საკრედიტო პრობლემა და ეროვნული ვალუტის გაუფასურება სახელმწიფო ვალმა არ უნდა გადააჭარბოს აღნიშნულ ნიშნულებს. ჩვენს შემთხვევაში საქსტატის მონაცემების საფუძველზე 2020 წელს ბიუჯეტის რეკორდული 8,6% დეფიციტია და ქვეყნის საგარეო ვალის შეფარდება მშპ-თან ზედა ზღვარს -56,5%-ს უახლოვდება, ხოლო 2022 წელს სახელმწიფო საგარეო ვალი ოცდაცამეტ მილიარდს აღწევს. საქართველოს სახელმწიფო ვალის დინამიკა წლების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად: 2019 წელს საგარეო ვალი 16,5 მილიარდი ლარი იყო, 2020 წელს 24,7 მილიარდი ლარი, 2021 წელს 25 მილიარდი ლარი, 2022 წელს 33,1მილიარდი ლარი. (იხ.დიაგრამა N3)

დიაგრამა N3



წყარო: ფინანსთა სამინისტრო

რაც შეეხება საშინაო ვალს, მასზე რყევები ნაკლებად მოქმედებს, ვინაიდან ეს ის ვალია სახელმწოფოს მიმართ, რომელიც მას გააჩნია საკუთარი მოქალაქეებიდან და წარმოადგენს არამზარდ ეროვნულ ვალუტას, თუმცა გაზრდილ საპროცენტო ტვირთის გადასახადს იხდის მოსახლეობა. შედარებისთვის წლების მიხედვით ქვეყნის საგარეო ვალსა და მშპ-ს შორის თანაფარდობა საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელითაა. კერძოდ: 2020 წელს 60%-ს აჭარბებს. 2021-22 წლებში მცირე სხვაობით დაწეულია, თუმცა სტანდარტულად მაინც მაღალია პროცენტული მაჩვენებელი. ქვეყნაში არსებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა ეკონომიკის გაჯანსაღების საშუალებას, ვინაიდან საგარეო ვალს ქვეყანა უცხოური ვალუტით იღებს და თუ მოხდება სავალუტო კურსის აწევა, ხდება ეროვნული ვალუტის გაუფასურება. თანაფარდობა კიდევ უფრო გაიზრდება საგარეო ვალსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის. სახელმწიფო ვალი საქსტატის მონაცემების თანახმად 2019 წელს -ერთ სულ მოსახლეზე 5715 ლარს, 2020 წელს-7794, 2021 წელს 12739 ლარს, ხოლო 2020 წელს 14667 ლარს წარმოადგენს). წლების ზრდასთან ერთად იზრდება ქვეყნის სახელმწიფო ვალიც და ვალდებულებაც, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ისედაც ქვეყნის დაბალმსყიდველიან მოსახლეობას.

აღნიშნული მონაცემების ანალიზიდან გამომდინარე მაღალია რისკი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა-განვითარების ვინაიდან მაღალია კორელაცია მშპ-სა და სახელმწიფო ვალს შორის. შესაბამისად, თუ სახელმწიფო არ შეიმუშავებს და განახორციელებს გრძელვადიან ეკონომიკურ პოლიტიკას და არ განსაზღვრავს იმ ინდიკატორებს, რაც ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში შედეგად მივიღებთ ქვეყანაში საბიუჯეტი დანახარჯების ზრდას და გადახდისუუნარობის რისკს. მაგრამ გამართლებული იქნება, მთავრობის მიერ აღებული საშინაო და საგარეო ვალი თუ იხარჯება ეფექტიან რეფორმებში. ეფექტიანობა უნდა ვლინდებოდეს ქვეყნაში არა საქონელზე და

მომსახურებაზე ფასების ზრდის ტემპების მატებით, არამედ მოსახლეობის კეთილდღეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სმიტი, ადამ. 2007. გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გვ 13
2. მექვაბიშვილი, ელგუჯა. 2016. თანამედროვე ეკონომიკური თეორიები. თბილისი. გვ. 156
3. პ ა რლ ბ მ ე ნ ტი , ს ა ქ ა რთვ ე ლოს . 2013. "ა ქ ტი ე კ ონ ომ ი კ ური თა ვ ი ს უფლ უ ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ." *parliament.ge.* დ ე კ ე მ ბ ე რ ი 31
4. ფონდი, საერაშორისო სავალუტო. 2021. *geoeconomics.ge.* თბილისი: geoeconomics.ge.
5. ადეიშვილი გ., საღარეიშვილი მ., საქართველოს ეკონომიკა თბ.2021
6. Todaro, M. P., & Smith, S. C. Economic Development 11th ed. Pearson Education and Addison-Wesley 2011
7. geoeconomics.ge
8. www.geostat.ge
9. euronewsgeorgia.com
10. Forbes.ge
11. bm.ge